მოსკოვი – თბილისი
თბილისელი ფეხბურთელების გამარჯვება

ა.წ. 30 ივნისს “დინამოს” სტადიონზე მოხდა “საკავშირო თასის” გათამაშების ნახევრად საფინალო შეხვედრა თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის წითელი არმიის ცენტრალური სახლის გუნდს შორის (ცდკ). მატჩი დამთავრდა 1:0 “დინამოს” სასარგებლოდ.

თბილისელები გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: მეკარე – დოროხოვი, მცველები – ჭუმბურიძე და შავგულიძე, ნახევარმცველები – გაგუა, მინაევი, ჯორბენაძე, თავდამსხმელები – გავაშელი, მ. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ასლამაზოვი, სომოვი. მეორე ტაიმში ასლამაზოვი შესცვალა ვ. ბერძენიშვილმა.

თამაში დაიწყეს თბილისელებმა. პირველი წითიდანვე აშკარა შეიქნა მათი უპირატესობა, აგრეთვე სუსტი მხარეები. მათ მშვენივრად მიჰქონდათ ბურთი, კარგად აწვდიდნენ ერთმანეთს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მოწინააღმდეგის კარის წინ იბნეოდნენ, ზანტობდნენ და ზუსტად ვერ ურტყამდნენ ჭიშკარში.

საუცხოოდ თამაშობდნენ წითელი არმიის სახლის გუნდის მცველები, რომლებიც მოხერხებულად იგერიებდნენ თბილისელების თავდასხმას. მოსკოველებმა რამდენიმეჯერ მოახერხეს თბილისის მცველთა ხაზის გარღვევა და სახიფათო მომენტი შექმნეს კართან, მაგრამ დოროხოვმა, რომლის მოხდენილი თამაში ხშირად ტაშს იწვევდა, შესძლო რამდენიმე ძნელი ბურთის აღება. პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია.

მეორე ტაიმი თბილისელებმა კიდევ უფრო სწრაფი ტემპით დაიწყეს. მოსკოვის გუნდი მოიქანცა. მისი მეკარე იძულებულია ფხიზლად იყოს, მას სამუშაო ბევრი აქვს, ამავე დროს მოსკოველები უკვე ისე ხშირად ვეღარ ახერხებენ თბილისის კარებთან მიახლოვებას.

მე-40 წუთზე თბილისელებმა გაიტანეს პირველი ბურთი, რომლის გაქვითებაც ტაიმის ბოლომდე მოსკოველებმა ვერ შესძლეს.

ამ თამაშის შედეგად თბილისელები გამოვიდნენ “საკავშირო თასის” გათამაშების ფინალში. 15 ივლისს შესდგება საფინალო მატჩი მოსკოვის “დინამოსთან” ან მოსკოვის “ლოკომოტივთან”, იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი გაიმარჯვებს ამ გუნდების ნახევრად საფინალო შეხვედრაში, რომელიც 3 ივლისს გაიმართება.

“კომუნისტი”, 4 ივლისი 1937 წ.